№ 169
ოთხშაბათი, 8 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 169
ოთხშაბათი, 8 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის

დირექტორი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ სწავლეების მიღება უმცროს ანყოფილებასა და ახლად გახსნილ მოსამზადებელ კლასის აშუალო განყოფილებაში მოხება 1901—1902 სამოსწავლო ლის 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავვები 7-დგან 9 წლისანი უეგზამეოთ, საშუალოში—8—10 წლისა ზამენით.

თხოვნები მიიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით 0-დგან 1 საათამდე სასწავლებლის ადგომში. თხოვნას უნდა ახლდეს ოწმობანი დაბადებისა, წოდებისა, ვილის აცრისა და მათი პირები. მ მოწმობებოდ თხოვნები მიღებული არ იქმნება.

მე-2 და 1 კლასებში და უფროს მოსამზადებელში, თავისუფალ ვაკანსიის უქონლობისა გამო, მოსწავლეებს არ მიიღებენ.

(6—6.—1)

ართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია

აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველ დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის გამგეს ადგილი. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიჰმართოს საზოგადოების გამგეობას. ჯამაგირი თვეში იქნება 50 მან. და წმინდა მოგებიდგან 25%.

(—6—)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

უკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ვინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ვ. გ. მალალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. გ. მალალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

ი. ი. ოცხელისა

(ქ. ქუთაისში.)

სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს 7-12 წლისა გიმნაზიის და რიალურ სასწავლებლის მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის; საყმაწვილო ბაღის მიზანია აღზარდოს და მოამზადოს სკოლისათვის 5-6 წლ. ყმაწვილები. სწავლა დაიწყება 3 ენკენისთვეს.

(3—168—2)

ახალი ამბავი

—

*** გენერალ-ინსპექტორი კავალერიისა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე ცხენოსან ჯარების კრებას დაესწრება გუმბრში. დიდი მთავარი 10 აგვისტოს ყაზიბეგის სადგურზედ გაათევს ღამეს, 11-ში მცხეთაში ჩამობრძანდება და აქედგან რკინის გზით ტფილიში. ამავე დღეს, საღამოს 10 საათზედ, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა გუმბრში წაბრძანდება, სადაც 14 აგვისტომდე დაჰყოფს.

*** როგორც პეტერბურგიდგან იტყობინებიან, ფინანსთა მინისტრს უმაღლესად ნებართვა მიუღია ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარეთ თავისით დანიშნოს ვინმე დაუყოვნებლივ.

*** როგორც „ცნობის ფურცელი“ იუწყება, ბეჭდვითი საქმის უმთავრესს სამმართველოს ნება დაურთავს, რომ რუსეთისა და უცხოეთის მოღვაწეთა და ამა თუ იმ საზოგადო მოვლენათა დასასურათებლად გაზეთმა ნახატებიანი დამატება იქონიოს.

*** უმაღლესის ბრძანებისა თანახმად, მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით 26 მარტის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება არჩევნების შესახებ გაუქმებულია. ქალაქის თვითმმართველობამ არჩევნები ისე უნდა მოახდინოს, როგორც ამას კავკასიის მთავარ-მართებელი სცნობს საჭიროდ.

იმედია, საარჩევნო ნაწილები ქალაქისა ახლა მაინც ისრე იქნება დასახელებული, როგორც ამას მცხოვრებთა ნამდვილი ინტერესები მოითხოვს.

*** მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს კავკასიაში ადგილმამულების მოწესრიგების საქმეს შეუდგეს.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს ქუთაისის გუბერნიაში სახელმწიფო ადგილები წვრილ-წვრილ ნაჭრებად დაჰყოს და ძვირფასს მცენარეულობათა მოსაყვანად და სახეირებლად დაურიგოს.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა განუმარტა ბოქაულებსა და იმათ თანაშემწეებს, რომ თუ-კი სადმე ქალაქში უწესოება რამე მოხდება და წესიერების აღსადგენად პოლიციელს მიიწვევენ, თუნდაც იგი ამ დროს სამსახურისგან ისვენებდეს, იგი მოვალეა თავისი თანამდებობა შეასრულოს და არ იუაროს—დაღლილი ვარ, ან ეს უბანი და ქუჩა ჩემს სათვალ-ყურო ადგილს არ ეკუთვნისო.

*** ტფილისის ქალაქის მოურავს უცნობებია გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელისათვის, რომ სანამდის ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხიდგან 5,000 მან. არ მიეცემა ქალაქს, იმ დრომდის საკუთარს საყასბოებს ვერ გავხსნით, რადგანაც ამ საქმეს სულ ცოტა 20,000 მან. სჭირდებაო.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტის მოწერილობა გაუგზავნა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ სამინისტროს ახალი განკარგულება ზნეობა დაცემულ ქალთა წლოვანობის შესახებ ამ განკარგულების მოხდენამდე საროსკიპოებში შესულ ქალთ არ შეეხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკუნალო დეპარტამენტმა განკარგულება მოახდინა, რომ ოცდა ერთ წლამდე საროსკიპოებში ქალები არ მიიღონ.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, სექტემბრიდგან საერო განათლების სამინისტრო და განსაკუთრებული კომისსია რუსეთში მცხოვრებ უცხო ერთა შორის რუსული წერა-კითხვის გავრცელების საქმის განხილვას თურმე შეუდგებიან.

*** როგორც იწერებიან იგივე გაზეთები, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო მალე ოძისში (დუშეთის მაზრაში, ერისთავის მამულში) სასოფლო სამეურნეო სასწავლებელს თურმე გახსნის.

*** ტფილისის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მის მიერ წარდგენილი პროექტები ახალი ტრამვაის გზებისა დამტკიცებულ იქმნენ.

*** ყაჩაღის ალექსანდრე ლორთქიფანიძეს საქმეს სამხედრო სასამართლო გაარჩევს.

*** როგორც „Нов. Обозр.“-ს სწერენ, დ. ჩხარში (შორაპნის მაზრაში) 31 ივლისს ცეცხლი გაჩენილა და 40 დუქანი დამწვარა. ზარალი 60,000 მანეთამდეა. ყველაზედ მეტად ი. ზ. პიპინოვი და ძმ. ა. და ნ. პანჩულიძეები დაზარალდნენო.

რედაქციამ მიიღო ჟურნალ „**მოამბის**“ მე-6 ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: I, სოფელში.—მოთხრობა, სიკოსი. II, საბრალონი.—რომანი ვიქტორ ჰიუგოსი, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა, III, პატარა ეიოლფი.—კომედია სამ მოქმედებად ჰენრიხ იბსენისა, თარგმანი ინ-ანის (გაგრძელება), IV, ორი მეგობრობა.—თარგმ. კიტა აბაშიძისა, V, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.—ე. თაყაიშვილისა, VI, ძველი თაობა.—არჩილ ჯორჯაძისა, VII, უცხოეთის მიმოხილვა.

*** ხაშური. მე-199 ვერსზედ, ხაშურისა და ბარბარინოს შუა, მდინარე ძამას ნაპირებს ქვებით ამაგრებდნენ, რომ მდინარეს რკინის გზისათვის არ ევნო, ქვებს ურმებით ეზიდებოდნენ. ერთს შორაპნის მაზრის მცხოვრებს მუშას კარპე კალანდაძეს მუშაობის დროს თოკში მარცხენა ფეხი გაეხლართა და მოსტყდა. რკინის გზის ფერშალმა მაშინვე შემწეობა აღმოუჩინა. უნდოდათ დაშავებული რკინის გზის საავადმყობოში გაეგზავნათ, მაგრამ ნათესავებმა არ ისურვეს და ფეხ მოტეხილი კალანდაძე თურმანიძესთან წაიყვანეს საექიმოთ.

*** სადგ. ბათუმი. 5 აგვისტოს, დღის პირველ საათზედ, ბათუმის სადგურზედ ვაგონების სინჯვის დროს ვაგონების გადამბმელს ჩხიკვაძეს მარცხენა მკლავი ვაგონებსშუა მოჰყვა და მთლად მოამტვრია. ჩხიკვაძე საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** გუმბრის სადგური (ალექსანდროპოლი). 5 აგვისტოს მემანქანის თანაშემწემ იპოლიტე კოსტრენიცკიმ დანით დასჭრა მუცელში (ღვიძლის ალაგას) უფროსი ზეინკალი დეპოსი გუსტაფ შიპპე.

*** სადგ. კერარი. 5 ასვისტოს, მატარებელმა № 171-მა სადგური კერარი რომ გაიარა, ერთს კონდუქტორს ჯგიქაბულის ბრიგადისას ნიკ ივანოვ-ნეხაევს უცბად თავსბრუ დაესხა, ტორმოზიდან ჩამოვარდა და მარჯვენა ფეხი ვაგონის თვლებს ქვეშ მოჰყვა. დაჭრილს პირველი შემწეობა ქურდამირის ფერშალმა გაუდენკომ აღმოუჩინა და იმავე მატარებლით ქურდამირის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** პოლიციის მეშვიდე ნაწილში მცხოვრებმა ევდოკია კარლენკომ განაცხადა 5 აგვისტოს პოლიციაში, რომ იმისმა მოსამსახურემ, ქუთაისის გუბერნის, სენაკის მაზრის სოფელ სეფიეთიის მცხოვრებმა მიხეილ ივანეს ძე თოფურიძემ მოჰპარა მას სხვა და სხვა ნივთები სულ 300 მანეთისა და სადღაც დაიმალაო.

*** ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება ტფილისის სავაჭრო პოლიციის ზედამხედველმა ქალაქის შუა ადგილას ხორცის სავაჭრო დუქნის გამართვის შესახებ.

კავკასიის მომავალი გამოფენა

ამ დღეებში კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტს მოუვიდა ექსპონატები დერბენტის ქალაქის გამგეობისაგან, გუმბრის 6 კლასიან საქალაქო სასწავლებლისაგან და სხვათაგან.

⁂

კავკასიის გამოფენის კომისარს თავ. ანდრონიკაშვილს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექცია ატყობინებს, რომ თუმცა ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა სასწავლებლები მონაწილეობას იღებენ გამოფენაში ექსპონატების გამოგზავნით, მაგრამ დირექციაც მიიღებს მონაწილეობას სხვა-და-სხვა საყურადღებო ნაწარმოებთა ექსპონატებად გამოგზავნითაო.

⁂

კავკასიის გამოფენის კომისარის თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის განკარგულებით, ამ დღეებში გაიგზავნა კავკასიის გამოფენის შესახებ განცხადებები მოსკოვში 100 ცალი, პეტერბურგში 100 ცალი, ოდესაში 100 ცალი, ვარშავაში 50 ცალი და სხვა-და-სხვა დაწესებულებასა და რუსეთის ყველა ქალაქებში გაიგზავნა ამ განცხადებების რამდენიმე ცალი ხალხში გამოფენის შესახებ ცნობის გასავრცელებლად.

⁂

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას უმაღლესად 5,600 მან. გამოუვიდა სახელმწიფო ხაზინიდგან, რომ ეს ფული გამოფენაზედ გამართვას მოჰხმარდეს.

⁂

საქართველოს სასულიერო უწყებას გადაუწყვეტნია კავკასიის მომავალს გამოფენას ძველი ქართული ხელთნაწერები და გუჯრები გაუგზავნოს, რომლებიც სხვა-და-სხვა მონასტრებიდგან არის შეკრებილი.

უცნაური ახირება.

სწორედ გაუგებარია და მიუწდომელი ზოგიერთის გაჯიუტება და ახირება. ამისთანა ახირებულს რაც უნდა ნათელ-მოფენილი, დღესავით ცხადი საგანი წარუდგინო, არ შეისმენს შენსას და თავისას გაიძახის. აგერ მეთორმეტე წელიწადი მიდის, რაც ტფილისის გუბერნიაში სასოფლო სამეურნეო თანხა დაწესდა გუბერნატორად ნამყოფის თ. გ. დ. შერვაშიძის მიერ და ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ, სიტყვით თუ ჟურნალ-გაზეთობის შემწეობით, ვქადაგებდით, თუ რა დანიშნულება აქვს ამ თანხას, რას უნდა მოჰხმარდეს იგი და ჩვენ გაღარიბებულ და დაბეჩავებულ სოფლის რა წყლულს უნდა დაედოს მალამოდ, მაგრამ არ იქნა არ შეისმინეს და არც უნდათ შეისმინონ. ნეტა, ვიცოდეთ, რა ხელსაყრელია ასეთი კერპობა?.

არც ერთი ტფილისის გაზეთი და ჟურნალი, არც რუსული და არც ქართული, არ დაგვიტოვებია ამ თერთმეტის წლის განმავლობაში, რომ მრავალჯერ არ დაგვეწეროს, თუ რას უნდა მოჰხმარდეს სამეურნეო თანხა, მაგრამ, მიუხედავად ასეთის განმარტებისა, გაჩნდება სადმე თუ არა შიმშილი, მაშინათვე ამ თანხას მიაყუდებენ ჯოხსა და ხმა მაღლა მოსთქვამენ, მალე, რაც შეიძლება მალე, მთავრობას ვთხოვოთ ეს თანხა დაგვირიგოსო. განსაკუთრებით მეტის-მეტს ჯიუტობას იჩენენ ქიზიყის მკვიდრნი შვილნი. ორს მათგანს, მ. ნასიძესა და დ. მაჩხანელს პირადად მშვენივრად ვიცნობ, ბევრჯელ საუბარი მქონია მათთან ამ თანხის შესახებ, მიჩვენებია კიდეც თვით პროექტი და რითი ავსხნა, რომ ეს განათლებულნი მოღვაწენი თავისას არ იშლიან, პროექტს ყურადღებას არ აქცევენ და შიმშილობის ან მოუსავლობის დროს მაშინათვე ამ თანხისაკენ გაიშვერენ ხოლმე ხელს. გაუგებრობას ვერც ერთს მათგანს ვერ დავწამებ. წაკითხულისა და ნალაპარაკევის გაგებაც მშვენივრად შეუძლიანთ ორთავეს. მაშ რა არის მიზეზი, არ ვიცით?

სულ რაღაც ნახევარ წელიწადია, რაც ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობს ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე და თუ-კი ამ ახალ მოსულმა, ჯერეთ სულ ყმაწვილმა კაცმა ასე სავსებით შეიგნო სამეურნეო თანხის დიდი დანიშნულება [*], რა ემართებათ გონება-მახვილს მ. ნასიძესა და „ძმური-სიტყვის“ ავტორს დ. მაჩხანელს, რომ არა ჰსურთ შეითვისონ ის უბრალო აზრი, რომ სამეურნეო თანხა დაწესებულია მარტოოდენ და მხოლოდ შიმშილის გამომწვევ მიზეზებთან საბრძოლველად და მის მოსასპობად. სამეურნეო თანხამ, როცა სავსებით დაიწყებს მოქმედებას, როცა თვისს სრულს მადლიანობას გამოიჩენს, სასწაული უნდა მოახდინოს, ესე იგი სოფელი ისე უნდა გააღონიეროს ნივთიერად, რომ ერთისა-კი არა, ხუთის წლის მოუსავლობამ წარბი არ შეარხევინოს. განა მილიონის პატრონს თუნდაც ათის წლის მოუსავლობა წელში გასტეხს? არა და არა. მოუსავლობა საშიშია დავარდნილ, წელში გატეხილ კაცისთვის. ჩვენი დღევანდელი სოფელი ასეთს კაცსა ჰგავს. სამეურნეო თანხამ სოფელი ფეხზედ უნდა დააყენოს, აი მისი დანიშნულება.

მეტყვიან: ვინემ პავლე მოვა, პეტრეს ტყავი გასძვრებაო. მეც ვუპასუხებ—ორს კურდღელს რომ გამოეკიდები, ვერც ერთს ვერ დაიჭერ. წვითა და დაგვით შეგროვილი ფული რომ ეხლა დავარიგოთ პურის სასყიდლად, გასესხებულს ველარ შევკრებთ, რაც ისტორიამ და პრაქტიკამ ნათლად გვაჩვენა, და იმ მდგომარეობაში ჩავცვივით როგორშიაც ამ ათის წლის წინად ვიყავით, ესე იგი დამშეულ ხალხსაც მაგ ფულით ვერას ვუშველით და იმედიც სამუდამოდ დაგვეკარგება, აღვადგინოთ გაოხრებული ჩვენი მარჩენალი სოფელი, ის სოფელი, რომელიც დღეს სიღარიბისა და უვიცობის მორევში იღრჩობა.

სწორედ გვეთაკილება, რომ ერთი და იგივე ათი ათასჯერ უნდა გავიმეოროთ.

სჯობს, ქიზიყის გულშემატკივრებმა მ. ნასიძემ, დ. მაჩხანელმა და სხვებმაც, რასაკვირველია, როცა მოუსავლობაა, მიჰმართონ ხოლმე იმ საშუალებას, რომელზედაც მიუთითა ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ, ე. ი. საიმპერიო კაპიტალსა და სამეურნეო თანხას თავი დაანებონ. მთავრობა ვალდებულია დაეხმაროს გაჭირვების დროს სოფელს, რადგანაც სოფელი ბურჯია სახელმწიფოსი, იგია პირველი ხარჯის გამღები, იგია ჯარის-კაცის გამყვანი. ასეთი ულეველი წყაროს დაშრეტა სახელმწიფოსათვის სახეირო არ არის. ასეც იქცევა ყველგან და ყოველ დროს მთავრობა. გაიხსენეთ რუსეთის შიდა გუბერნიების შიმშილობის ეპოპეია, წრევანდელი შიმშილობა გერმანიის ზოგიერთა პატარ-პატარა სახელმწიფოებისა და დაეთანხმებით, რომ მთავრობანი ამ უპირველესს თავისს მოვალეობას მხარს ვერ აუქცევენ.

გაზეთში ყველაფრის დაწვრილებით აღნუსხვა მოუხერხებელია, მაშ დაგვიჯერეთ, რომ შარშან მოუსავლობის გამო ნაწილი მაგ თანხისა დაურიგდა ჯავახეთის გლეხობას. სულზედ ათი შაურიან სამი აბაზი იყო გაცემული. ფულის წყალში გადაყრა გამოვიდა, სხვა არაფერი, რადგანაც ამ ფასად ერთი ფუთი პურის სყიდვაც-კი ძლივს მოხერხდა. თანხაც შევასუსტეთ და ხალხიც ვერ გამოვკვებეთ. და, რაც უფრო უარესია, წესდება დავარღვიეთ.

წელს, თებერვალს, ხელმეორედ განხილული და გადასინჯული წესდება სამეურნეო თანხისა პეტერბურგს გაიგზავნა. თუ მალე ეღირსა დამტკიცება, მაშინ ქიზიყს ის 200,000 მ., რომელზედაც ასე ხშირად უჩვენებენ კორესპონდენტნი, სხვაფრივ გაუწევს სამსახურს, სხვაფრივ მოევლინება თავსა და მაშინ პურის მოუსავლობაც ვერ დააძმარებს მხნე და გულმაგარს ქიზიყელს.

ა. ყიფშიძე.

დაბა ღ სოფელი

ს. არაშენდა (გორის მაზრა). ამ ჟამად ამ სოფელში 40—50 კომლი გლეხკაცობა სცხოვრობს, უფრო შეძლებული, რომელნიც მომეტებულ ნაწილად ხვნა-თესვას და მევენახეობას მისდევენ. აქ პური უხვად მოდის, ქერის თესვას ნაკლებად მისდევენ, სამაგიეროდ ბლომად მოჰყავთ სიმინდი და ლობიო. გარდა ამისა, ისე გლეხკაცი არ იქნება, რომ ვენახი არა ჰქონდეს (ორისა და სამის პატრონიც ბევრია). ვაზი სულ „მწვანყა“, ღვინო თეთრი იცის და კარგის თვისებისაც, მაგრამ თქვენი მტერი იყოს, როგორც ახლა აქაური ან ვენახები და ან მინდვრის მოსავალია! აქაც, როგორც ახლომახლო სოფლებში: ვარიანში, მიხდისში, საქაშეთში, ახალ-დაბაში და სხ. საშინლად ხდება ვაზი; ფოთოლი უხმება, მარცვალი არ იზრდება, მავდება და ბოლოს გამხმარი სცვივა; თუ დრომდის მერჩა რამე, ისიც, ვგონებთ, სრულად არ დამწიფდეს. მხოლოდ აქაურს მღვდელს მ. ი. ოქ-ძესა აქვს მშვენივრად შენახული და მსხმოიარე ვენახი, რომელიც კარგა ხანია თურმე საწამლოს, მაგრამ, საკვირველია, რომ აქაურნი გლეხები მისგან მაგალითს არ იღებენ, თუმცა კარგად ჰხედავენ, ვაზს წამლობა ნამდვილათა ჰრგებს? მ. ო—ძემ ვარიანში სამიოლეს კომლს ათხოვა საწამლი მანქანა და, დაინახეს თუ არა მისი რგება, მოსავლისთვის იმედნეულობენ, უექველად ჩვენც ვიყიდით მაგ მანქანასო. მიწის მოსავალიც, საზოგადოდ, როგორც სხვაგან, ისე არაშენდაში ნაკლებია. ჯერ უზომოდ დიდმა გვალვამ და შემდეგ მხაპუნა წვიმებმა მოსავალს უდროოდ დღე მოუსწრაფეს, სულ ერთთავადა სწვიმს. ახლაც, თითქოს ძრიელ ენატრებოდათ გლეხებს, ცალკე კალოში ჩაშლილს ძნასა და ცალკე დაშლილ ძნის ძირებს ალპობს და ალოლოვებს ეს წვიმები.

ეს დარდი იქნება კიდევ როგორმე მოენელებინათ საწყალს არაშენდელებსა, რომ სხვა უარესი დარდი არ გასჩენოდათ და ამას არ დაემწუხარებინა ხალხი. ეს სამი კვირა მეტია, ამ ცეცხლის-კიდების დროს საქონელს ჭირი გაუჩნდა და უწყალოდ ჰმუსრავს. ამის გამო ამ ჟამად ბეითლები არიან მოსულნი და ჭირიანს საქონელს ჰხოცავენ. დღემდის სამოც სულამდე სხვა-და-სხვა

ფელეტონი

მეცხრამეტე საუკუნე

III [*]

ერთა აღორძინება

(იტალია)

როგორც წინა ფელეტონში ვწერდით, ფრანგთა შესევის დროს დაიბადა იტალიის ახალთაობის საუკეთესო კაცთა შორის დიადი აზრი სამშობლოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისა. მაგრამ იმავე ახალთაობას (განვლილ საუკუნის მე-10, 20 ღ 30 წლებისას) ჰხვდა წილად ის სასტიკი ტანჯვა-წვალება, რომელიც შედეგად მოჰყვა მამულისშვილთა დევნ.-დაწიოკებას, განსაკუთრებით ლომბარდია-ვენეციასა, პაპის სამფლობელოებსა და ნეაპოლში. იღუპებოდნენ მამულიშვილნი—[illegible], დემოკრატნი, საფრანგეთის რესპუბლიკის დიად პრინციპებით აღფრთოვანებულნი,---იღუპებოდნენ მოსყიდულ მკვლელთა ხანჯლებისაგან, იღუპებოდნენ ნეაპოლისა, რომისა, ვენეციის საპყრობილეებში.

ვენის კონგრესმა, კოალიციის საფრანგეთთან ოცის წლის ბრძოლის დასაგვირგვინებლად, სრულიად შესცვალა საშუალო ევროპის რუკა; მან ყოფილი ვენეციის რესპუბლიკა ლომბარდიითურთ ავსტრიას მიუსაკუთრა, ხოლო ნეაპოლში ხელ-ახლად ბურბონნი გაბატონა. ამავე დროს დასდეს „სალმვთო კავშირი“, რომელსაც არ მიუდგა მხოლოდ ინგლისი. მთავარ საგანს ამ კავშირისას შეადგენდა „ხელმწიფეთა და მთავართა აღდგენა და იაკობინისმისა, დემოკრატიისა და ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა.“ პირველობდა ამ „კავშირში“ ავსტრია, ხოლო იმის პოლიტიკის სულის ჩამდგმელი და ბატონი მეტტერნიხი იყო. თუ მეტტერნიხისა და სხვათა სისტემამ გერმანიასა და ავსტრიაში, როგორც ეს ფარნგაგენის შესანიშნავ წერილებიდგან ვუწყით, შეაფერხა გონებრივი და საზოგადოებრივი განვითარება, იგივე რეაქცია ყოველ ღონესა და საშუალებასა ჰხმარობდა ლომბარდია-ვენეციაში ჰუმანიურ აზრისა, ტანჯულ-წვალებულ სამშობლოს მიმართ თანაგრძნობის გამოცხადების ძირიანად აღმოფხვრისათვის.

იმ დროის მამულიშვილთა მატიანებმა, განსაკუთრებით სილვიო პელიკოს სამწუხარო მოგონებებმა—„Mie prigioni“ (ჩემი პატიმრობა), გაკვირვებულ კაცობრიობას უდანაშაულოთა ტანჯვა-წამების საოცარი სურათები გადაუშალეს, ისეთი სურათები, რომლის მსგავსსაც ტიბერისა და კალიგულის დროის რომი და ფილიპე მეორისა და ტორკვემადოს დროის ესპანია თუ წარმოგვიდგენს მხოლოდ. მრავალი კაცი იმსხვერპლა ამ სასტიკმა დრომ. საუკეთესო ყმაწვილი კაცნი, ლიტერატურისა, თეატრისა და მეცნიერების დამამშვენებელნი ათის წლობით ცოცხლად იმარხებოდნენ ავსტრიის სატუსაღოებში, ოლმიუცისა, პეტერვარდეინისა და სხვა მაგარ და ქვითკირის კუბოებში. თუ სადმე აღწევდა ეს სისასტიკე, ძალ-მომრეობა და უდანაშაულოთა წამება, ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს. ერთ მამულიშვილს შვიდის წლის პატიმრობის შემდეგ ფეხებზედ, იმ ადგილას, სადაც ბორკილი ჰქონდა გაყრილი, საოცარი იარები გაუჩნდა, ამასთან განუწყვეტელი ციებ-ცხელებაც საშინლად აწუხებდა უიმისოდაც ტანჯულ-წამებულს. ექიმებმა ურჩიეს ჯალათებს ბორკილის მოხსნა, მაგრამ მათ ეს თხოვნა არ შეიწყნარეს; პატიმარს განგრენა გაუჩნდა; ექიმებმა ფეხის მოჭრა სცნეს საჭიროდ; მაგრამ კამენდანტმა უარი განაცხადა და შეუთვალა ექიმებს, რომ ტუსაღი ორ-ფეხიანი ჩამაბარეს და ორ-ფეხიანი უნდა გადავცეო. მეტი ღონე არ იყო, ვენას მიჰმართეს თხოვნით... მიჰმართეს ვენას იმ დროს, როდესაც არც ტელეგრაფი არსებობდა და არც რკინის გზები.

ასეთის სისასტიკითა და მტარვალობით მეტტერნიხის სისტემა ჰფიქრობდა საზოგადოებრივ და ეროვნულ ცნობიერების შეჩერებას იტალიაში. თითქოს სისასტიკითა და დევნა-დაწიოკებით შეიძლებოდეს ჭეშმარიტების შეჩერება!... „La verite est en marche!..“ დაუყვირა ზოლამ პრეზიდენტ ფორის, მელინის სამინისტროს, ბილიოს, კავენიაკისა, მთავარ შტაბისა, კლერიკალებისა, მონარქისტებისა, ნაციონალისტებისა, ანტისემიტებისა და სხვათა საერთო მეცადინეობა-განზრახვას... და ამ სიმართლემ გზა გაიკვლია... ასევე მოხდა იტალიაში მე-19 საუკუნის დასაწყისს. სისასტიკემ ღ მტარვალობამ ვერ შეაშინა... პირიქით, გამოიწვია პატიოსანთა თავ-გამოდება, მხნეობა... ახალი თაობა, თაობა, რომელმაც შესძინა სამშობლოს ჰარიბალდი, ბანდიერი, მაძინი, სიფი, მანინი. ღ მრავალი სხვა გმირი, თამამად გამოვიდა საბრძოლველად 89 წლის პრინციპებისა და ეროვნობის დასაცველ ათ

---

[*] იხ. მისი მეთაური წერილი გაზ. „ცნ.-ფურცელში, № 1538, ამ სახელით: „ქიზიყს შველა უნდა“.

[*] იხილე „ივერია“, № 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვილ ფეხი საქონელი დაუხოცნიათ და რაც ამათ მოსვლამდის დახოცა ჭირმა, ის კიდევ სხვა არის. ჭირიანსა და დაკლულს საქონელს ღრმად ამოთხრილს ორმოებში ჰმარხამენ. ზოგიერთი ოჯახი ნახევარ ზედმეტს საქონელს სრულიად გამოეთხოვა. საბრალო არაშენდელებმა აღარ იციან რითი უშველონ თავს: ზოგს ყევარი ხარ-კამეჩიდგან ერთი სულიღა გადარჩა და რას მოეწევა ერთი ხარით, რომელიც, ნაცვალ გარდა, ხან ვის უნდა ათხოვოს და ხან ვისგან ითხოვს ამ გახურებულს მკა და ლეწვაში. თან, როგორცა ვთქვით, ხან წვიმა და ხან ქარი მოსვენებას არ აძლევს და მუშაობაში ხელს ძლიერ უშლის. ბეითალების და ბოქაულის მხრივ სასტიკი ზომებია მიღებული, რომ სენი სხვა მახლობელ მდებარე სოფლებში არ გადვიდეს, მაგრამ მოხერხდება ეს თუ არა, ვინ იცის. მაშინ-კი თქვენ მტერს, თუ სენი სხვა სოფელში გადავიდა.

მღ. რაჟდენ აფციაური.

—

თელავი. კვირას, 29 მკათათვეს, ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მიერ გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს „კაეშანი“, დრ. 4 მოქ. თარ. მარჯანაშვილისა, მაგრამ ისრე შემოკლებით, რომ თვითონ მოთამაშეთაც-კი არ ესმოდათ აზრი პიესისა, არამც თუ მაყურებლებს. იმედია, ბ-ნი მესხიშვილი სხვა დროს ეცდება ხალხს მართლაც აჩვენოს რამე, თორემ ასე არაფრად ჩაგდებით თანაგრძნობას სრულიად დაჰკარგავს.

ამავე დღეს თელავის კლუბის დარბაზში გამართული იყო საბავშვო დილა, რომელზედაც უკრავდა და მღეროდა მოლაპარაკე მანქანა, „საკონცერტო გრომოფონი“. საზოგადოება დილას ბევრი დაესწრო. მართალია, დილა საბავშვოთ იყო გამართული, მაგრამ დიდები უფრო დაესწრნენ. საზოგადოებამ ძლიერ მოიწონა და შემდეგისათვის გამეორება ითხოვა. 4 მარიამობისთვეს კიდევ ბუნდოვანი სურათებია დანიშნული კითხვით. ამ სღამოს ხალხი უთუოდ ბევრი დაესწრება, რადგანაც შინაარსი ქართული ცხოვრებიდან არის აღებული და პირველათ ჰმართამენ აქა.

დასასრულ, არ შეგვიძლიან მადლობა არ განვუცხადოთ ბატ. მ. აჯიმამუდოვს, რომელიც ამ სალამოებსა ჰმართავს და არც ერთს შემთხვევას არ უშვებს, რომ მომავალ სახალხო თიატრისა და წიგნთსაცავის შენობის ფონდის გასაძლიერებლად, ფული შეჰკრიბოს. იმედია, აჯიმამუდოვი ამ ფრიად სასარგებლო და საკეთილო საქმეს შემდეგაც არ უღალატებს და არავითარს შრომას არ დაზოგავს, რომ ადრე და მალე განახორციელოს იგი, მით უფრო, რომ ყველა თელაველი ამასვეა მოწადინებული და, გარდა ზოგიერთა ინტრიგანისა, დიდად თანაუგრძნობენ.

კარგი იქნება, ამ აზრით დაარსებულმა კომიტეტმა მოგროვილი ფული, რომელიც-კი აჯიმამუდოვისაგანა აქვს მიღებული, თავის დროზედ გამოაცხადოს ხოლმე რომელსამე გაზეთში, რადგანაც ბოროტი ენა ბევრს რასმე ავრცელებს ამის შესახებ.

მუშა.

—

ქიზიყი. გვალვა თავისას არ იშლის. მთლად დაეღუპათ ქიზიყელებს ყანებთან ერთად ფეტვები, სიმინდები, თამბაქო და ყველა ურწყავი ბაღეულობა და ბოსტნეულობა. ძალიან შეწუხდა ვენახებიც, ასე რომ წელს საშუალოზედ ნაკლები იქნება მოსავალი ღვინისა, რადგანაც რამდენჯერმე მოსულმა სეტყვამაც ბევრი ვენახი გაანადგურა. მოუსავლობით გაჭირვებულმა ქიზიყელებმა უკვე მიჰმართეს გუბერნატორს თხოვნით: სახელმწიფოს გარდასახადი მეორე მოსავლამდის დაგვაცადეთო.

რუსეთი

—

—არხის გაყვანის საქმე შავსა და კასპის ზღვებს შუა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, შეიძლება განხორციელდეს. ამ გაზეთების სიტყვით, უკვე იქმნა რამდენიმე გიდროტეხნიკოსი გაგზავნილი ადგილ-მდებარეობის გამოსაკვლევად.

—მთავრობა მალე შეუდგება ცნობების შეკრებას საქარხნო წარმოების შესახებ რუსეთში ამ უკანასკნელ 50 წელს. აზრადა აქვთ დანამდვილებით გამოიკვლიონ რამდენი მუშაა ქარხნებში, რა ფულს იღებენ მუშები და რა ცხოვრების პირობებში იმყოფებიან.

—მთავრობამ სავალდებულო გახადა ფინლიანდიის საშუალო სასწავლებლებში რუსულის ენის სწავლება. ლიცეიებში ამიერიდგან რუსულ ენას დაეთმობა კვირაში 10 გაკვეთილი უმცროს და 20 გაკვეთილი უფროს კლასებში.

—პეტერბურგში არსდება ქალთათვის პირველი სკოლა, სადაც საათის ხელობას ასწავლიან. სკოლაში მიიღებენ იმ ქალებს, რომელთაც გიმნაზიის ან შესაფერ სასწავლებლის ოთხი კლასი გაუთავებიათ. შემსვლელნი 16 წლისაზედ უმცროსნი და 25 წლ. უფროსნი არ უნდა იყვნენ. სწავლის ვადა სამი წელიწადი იქმნება.

—მიწად-მოქმედების მინისტრის ნება-რთვით, მომავალ წლის იანვარს მოსკოვში მოხდება კრება სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრების თავმჯომარედ დანიშნულ იქმნა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი კ. ა. რაჩინსკი.

—მიწად-მოქმედების სამინისტრო ერთ-ერთ თავის მოხელესა ჰგზავნის საფრანგეთში ცნობების შესაკრებად იმ ღონის-ძიებათა შესახებ, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ იხმარა მეღვინეობის კრიზისთან საბრძოლველად.

უცხოეთი

იტალია. ამ დღეებში იტალიამ დაჰკარგა ერთი უშესანიშნავესი თავისი შვილთაგანი ფრანჩესკო კრისპი. კრისპი იყო ბრწყინვალე წარმომდგენელი იმ საერო მოძრაობისა, რომელმაც სახელოვანის გარიბალდისა და მაძინის მეთაურობით შეაერთა და განამტკიცა დანაწილებული, ძალ-ღონე-გამოლეული იტალია. ბრძოლა იმ შესანიშნავის „ათასეულისა“, რომელმაც ძლევა-მოსილად გაიარა მთელი სიცილია და ნეაპოლი დაიპყრო—იყო ისეთი თავის განწირვა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ სამხრეთში, იტალიაში, სადაც მამულისშვილობა და პატრიოტიზმი ისეთივე აღტაცებული და აღმაფრენია, ვითარცა პოეტური ფანტაზია. და ამ საგმირო ხანაში კრისპი მარჯვენა ხელი იყო სამშობლოს მხსნელის გარიბალდისა. აქამდისაც კრისპი მონაწილეობას იღებდა პალერმოს აჯანყებაში და რევოლიუციურ მთავრობის წევრადაც იყო. შემდეგ კრისპი პიემონტში გაიქცა, საიდგანაც განდევნეს, და მალტიდგან ინგლისს ესტუმრა. აქ იგი დაუმეგობრდა მაძინის, გარიბალდისა, მაძინისა და კრისპის იტალიაში გამარჯვებულად დაბრუნების შემდეგ კრისპი არჩეულ იქმნა იტალიის პარლამენტის დეპუტატად და მაშინვე მონარხიულ მემარცხენთა დასის ლიდერი გახდა.

1876 წელს კრისპი არჩეული იქმნა დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად. ერთის წლის შემდეგ მან პირველად გაიცნო ევროპაში მოგზაურობის დროს გაშტეინში მყოფი „რკინის კანცლერი“ ბისმარკი. მას შემდეგ მათ შორის მტკიცე მეგობრული განწყობილება დამყარდა. ამავე 1876 წელს დაეცა ნიკოტემის სამინისტრო და ახალს კაბინეტში კრისპიმ შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი მიიღო. შეიქმნა გაცხარებული ბრძოლა კრისპის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგეთ გასჩხრიკეს მთელი წარსული კრისპისა, წარსული პოლიტიკურის დამნაშავისა, გატაცებულის, მხურვალე გულის ახალგაზდისა, რომელიც მთელს ქვეყანაში დახეტიალობდა. მათ გამოსძებნეს რაღაც ფაქტები, რომლის ძალითაც კრისპის ორცოლიანობა დააბრალეს და პასუხის გებაში მისცეს, თუმცა სასამართლომ კრისპი გაამართლა, მაგრამ მტრების ინტრიგებმა მაინც მოახერხეს მისი გადაყენება მინისტრის თანამდებობიდგან. მხოლოდ 1887 წელს, როცა თავისი ენერგიული მოქმედებით კრისპი გამაგრდა პარლამენტში, მან კვლავ დაიბრუნა უფლება: დეპრეტის სიკვდილის შემდეგ კრისპი არჩეულ იქმნა მინისტრ-პრეზიდენტად და აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრად.

კრისპი იყო მტკიცე მომხრე სამთა კავშირისა და სცდილობდა იტალიას და გერმანიას შორის კავშირი კიდევ უფრო განემტკიცებინა. როცა იგი მეფეს ჰუმბერტოსთან ბერლინში გაემგზავრა, უფრო დარწმუნდა, რომ მისი ცდა ღირსეულად დაფასებულ იქმნა გერმანიელების-მიერ. რასაკვირველია, საფრანგეთი არ უმადლიდა კრისპის, რის გამო საფრანგეთ-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ მოლაპარაკებამ ამაოდ ჩაიარა. იტალიის ერისაგან პატივისცემა კრისპიმ მაშინ დაჰკარგა, როცა განიზრახა ზოგიერთი საფინასო რეფორმის შემოღება და გადასახადთა გადიდება. მის წინააღმდეგ პარლამენტის მემარჯვენენი შეუერთდნენ მემარცხენეთა უმეტესობას და 1891 წ. 31 იანვარს კრისპი იძულებული შეიქმნა სამსახურიდგან გადამდგარიყო. მაგრამ რუდინისა და ჯიოლიტის ხან-მოკლე სამინისტროების შემდეგ 1893 წ. კრისპიმ კვლავ იკისრა კაბინეტის შედგენა. ამ დროს იგი მხნედ მოქმედებდა ანარხისტების წინააღმდეგ. გარნა იმ მოუფიქრებელმა პოლიტიკამ აფრიკაში, რომელმაც ქვეყანა ძალიან გაალარიბა, კრისპი სამუდამოდ დასცა. 1897 წ. მისი პარტია დამარცხდა. ამას დაემატა სამარცხვინო საქმე რომის ბანკისა, რაიცა კრისპის სახელს ჩირქსა სცხებდა და ამის შემდეგ კრისპის დიდება სრულიად დაიჩრდილა.

რაც უნდა იყოს, მაინც არც ერთს დასს არ შეუძლიან უარჰყოს ის დიდი სამსახური, რომელიც გაუწია კრისპიმ სამშობლოს გაერთიანებისა და განთავისუფლების საქმეს.

მოკვდა კრისპი ღრმა მოხუცი—83 წლისა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

—

ნიუ-იორკში აშენებენ ლაბორატორიას შავი-ჭირის გამოსაკვლევად. ლაბორა-

თუ გერმანიაში ეროვნულ გაერთიანების იდეიამ თავშივე ორ-მხრივი ხასიათი მიიღო—ოფიციოზურ-სახელმწიფური და კულტურულ-ლიტერატურული, სამაგიეროდ იტალიაში, თითქმის მე-50 წლების ნახევრობამდე ერთობის იდეიას ავრცელებდნენ, იცავდნენ და ცხოვრებაში გზას უკვლევდნენ მხოლოდ და მარტო აღფრთოვანებულნი რევოლიუციონერნი, რომელთათვისაც ეროვნული იდეია წარმოადგენდა ახალ მოქალაქობის, თანასწორობისა და თავისუფლების მაღალს იდეალს, განახლებულსა და ფედერატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულს. პოეტნი (ტომაზეო, ჯიუსტი და სხვ.), მემუსიკენი (როსსინი, ვერდი, ბელლინი), პუბლიცისტნი და ორატორნი (მანინი, საფფი, ჩიჩეროვეკიო, მაძინი და მრავალნი სხვანი)—ყველანი აქებდნენ და ადიდებდნენ თავისუფლებას და ამ თავისუფლებისათვის ბრძოლას... იმ დროის საუკეთესო ნაწარმოებნი პოეზიისა, საუკეთესო ოპერები („ვილ ჰელმ ტელი“, „პურიტანები“, „ერნანი“ და სხვანი) წარმოადგენენ თავისუფლებისა, პატრიოტიზმისა, სიმამაცის მხოლოოდენ ქებათა-ქებას, იდეალისა, აზრრწმენისა და თავისუფლების მებრძოლთა დიდებას. შესანიშნავი თქმულება დანტონისა-„Jl faut de l'audace, toujours de l'audace, encore de l'audace!“ (გამბედაობა, ყოველთვის გამბედაობა, კიდევ და კიდევ გამბედაობა!) თითქოს მთელის თაობის დევიზად გარდაიქცა... და გამბედაობამ, იმ გამბედაობამ კი არა, როდესაც ჩხუბისა და ქეიფის დროს გახურებული ყმაწვილნი კაცნი ხანჯლებით ერთმანეთს ასახიჩრებენ, არამედ რწმენით გატაცებულ კაცის მოქალაქობრივმა გამბედაობამ, როდესაც კაცი თავსა სდებს მართალ საქმისა, თავისს თანამემამულეთა და ადამიანისა და საზოგადოების ფეხ ქვეშ გაქელილ უფლებათათვის,—აი ასეთმა გამბედაობამ, მამაცობამ მოიცვა და გაიტაცა ახალი თაობა, ის თაობა, რომლის საუკეთესო წარმომადგენელნიც იყვნენ ძმანი ბანდიერნი, მაძინი და ჰარიბალდი.

ეხლა კაცს გასაოცარ უგუნურებად ეჩვენება სარევოლიუციო საქმენი ახალგაზრდა ჰარიბალდისა, ძმათა ბანდიერთა მეთაურობით ოცდა-თორმეტ ჭაბუკის გამოსვლა ნაპირზედ, დაუსრულებელი შეთქმულებანი „ახალგაზრდა იტალიისა“, რომლის წინასწარმეტყველიცა და სულის ჩამდგმელიც მოუსვენარი მაძინი იყო. მაგრამ ასეთ საარაკო საქმეთა ხშირ-ხშირმა გამეორებამ, მოღვაწეთა გმირობამ და ხასიათის სიმტკიცემ, იმ მოღვაწეთა გმირობამ, რომელნიც ვერაფერმა ვერ მოტეხა, ვერც სასტიკმა დევნამ, ვერც მრავალ წლობით კატორგაში ყოფნამ და ვერც სამშობლოდგან განდევნამ,—გამოაფხიზლეს იტალიაში საზოგადოებრივი ცნობიერება და გამოიწვიეს მთელის განათლებულის კაცობრიობის თანაგრძნობა იტალიის საქმის მიმართ, იტალიელ გმირთა სახელები კაცობრიობის სიამაყედ გადაიქცნენ, და როდესაც, 1864 წელს, ჰარიბალდი ლონდონში ჩავიდა, ინგლისის საზოგადოებამ ისეთის აღტაცებით მიიღო, როგორითაც თავისი, გმირებიცკი არ მიუღია.

ამ მიმოხილვაში ვერ შევრჩერდებით ბრძოლის ყოველსავე წვლილზედ, იმ ბრძოლისა, რომლის შესახებაც ინგლისელნი დღესაც იმეორებენ ბაირონის სიტყვებს და ამბობენ, უდიდესი პოეზიაა პოლიტიკაშიო, „very poetry of politics“. არშევერდებით არც 1848 წ. ბრძოლის ეპოპეიაზედ, არც ნაპოლეონ მესამის, მაშინ ჯერ მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტად მყოფის, ჯარის მიერ დაბხობილ რომის რესპუბლიკაზედ. ვერაფერს ვიტყვი ამ ჟამად ვერც ვენეციისა და მილანის რესპუბლიკათა და იქაურ გმირ მცხოვრებთა შესახებ, იმ მცხოვრებთა შესახებ, რომელნიც მამაცად იცავდნენ თავისუფლებას რადეცკის ჯარის წინააღმდეგ... აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ საოცარმა მოვლენებმა აიძულეს იტალიის ოფიციალური და ოფიციოზური წრეებიც გამოსულიყვნენ ერთობისა და თავისუფლების დასაცველად, ასე რომ ბოლოს ხალხისა და სარდინიის მთავრობის გაერთიანებულმა მეცადინეობამ შეჰქმნა დღევანდელი კონსტიტუციონური და დამოუკიდებელი იტალია.

მართალია, განხორციელებული წეს-წყობილება შორს იყო დიდებულ მამულიშვილთა იდეალებისაგან: მაძინი, ჰარიბალდი და მათნი მეგობარნი სხვა დემოკრატიულ საზოგადოების, თავისუფალ და განათლებულ ხალხის შესახებ ოცნებობდნენ. იმათი იდეალი pia desiderata“-ად დარჩა, მაგრამ პოლიტიკური ერთიანობა და დამოუკიდებელი იტალია მაინც ისტორიულ ფაქტად გარდაიქცა.

(შემდეგი იქნება).

ვ. მარველი

ტორია ისე უნდა მოაწყონ და ისეთი თადარიგი დაიჭირონ, რომ იქიდგან შავი ჭირი ბუზების, თაგვებისა და ვირთაგვების შემწეობით არაფრის გულისათვის არ გავრცელდეს. ამისათვის კედლებსა და ჭერ-იატაკს ფოლადისა და ცემენტისაგან აკეთებენ, რათა თაგვებმა ვერ შესძლონ შესვლა, ფანჯრებს განსაკუთრებულ ბადეებს უკეთებენ ბუზებისათვის. ამას გარდა შიგნით მრავალ მოწყობილობას ჰმართავენ იარაღისა და მომუშავეთა სადეზინფექციოდ.

⁂

ვენეციელ მხატვარს ბრას ერთის ძველის წიგნის მაღაზიაში უნახავს ძველი და მეტად ჭუჭყიანი სურათი. ბრას ერთის შეხედვით უცვნია, რომ სურათი შესანიშნავის მხატვარის ნაწარმოები უნდა ყოფილიყო; ამიტომ ისა და ოთხი კიდევ სხვა სურათი 500 ფრანკათ უყიდნია, შინ წაუღია და მშვენივრად გაუწმენდია. სურათი ტიციანის ნაწარმოები აღმოჩნდა. ბრას ეს სურათი პარიჟში 100,000 ფრანკად გაუყიდნია.

⁂

ამას წინად შესანიშნავ მოგზაურის სვენ გედინისაგან ევროპაში ორი წერილი მიუღიათ, ერთი ლეიპციგელ გამომცემელს ბროკჰაუზს, მეორე შვედურ „გეტებორგის გაზეთის“ რედაქტორს. გედინი ამ ჟამად აზიაში მოგზაურობს. როგორც წერილებიდგანა სჩანს, გედინს მრავალი უცნობი ადგილი მოუვლია დ საყურადღებო ცნობები შეუკრებია. სხვათა შორის ლობ-ნორის ნაპირებში, იქ, სადაც ძველად მოსახლენი ყოფილან, გედინს მრავალი ძველი ჩინური ხელთ-ნაწერი უნახავს (უმრავლესობა 800 წლის წინადაა დაწერილი). ამ ჟამად გედინი ჩარხალიკშია დაბანაკებული. იქიდგან საექსპედიციოდ ემზადება. მოგზაური თან წაიყვანს 20 მაჰმადიანს, 4 ყაზახს და 3 ტიბეტელ ლამას. ეკოლება თან 38 აქლემი, 24 ცხენი, 7 ჯორი და 70 ვირი. ექსპედიცია ტიბეტის მაღლობს გადაივლის ჩრდილოეთიდგან სამხრეთით, ინდის მახლობლად სადმე ზამთარს გაატარებს, შემდეგ ლადაკისა დ კარაკორუმით კაშკარში გავა, საიდგანაც გედინი ევროპისაკენ გაემართება. ექსპედიცია გასტანს შვიდ თვეს.

⁂

ინდოეთის უკანასკნელ აღწერის დროს ინგლისელებმა ყურადღება მიაქციეს ერთს იქ მცხოვრებთ—აინებს. აინები შესანიშნავნი იმით არიან, რომ წელიწადში ცხრა თვეს მარხულობენ, ექვსი-შვიდის თვისნ განმავლობაში ისინი თითქმის არაფერსა სჭამენ. ამ ხანგრძლივ მარხულობას იმათი სარწმუნოება მოითხოვს. ბავშვები რამოდენადმე განთავისუფლებულნი არიან მარხულობისაგან. ხორცს აინები სხნილის დროსაც არა სჭამენ. საქონლის დაკვლა საზოგადოდ იქ სასტიკადაა აღკრძალული. აინები ბენგალიაში სცხოვრობენ, გუზერატისა და რაჯაპუნტის ოლქებში. მათი რიცხვი ორ მილიონამდე ადის.

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო „ორი ზღაპარი“, პატარა წიგნაკი, რომელშიაც მოთავსებულია ძმ. გრიმების ორი ზღაპარი, თარგმნილი კახ-იმერლის მიერ. ზღაპრები მშვენიერის ქართულის ენითაა თარგმნილი დ სუფთად და ლაზათიანად არის გამოცემული. წიგნაკი 30 გვერდს შეიცავს და ჰღირს ორ შაურად.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 აგვისტო.

ლონდონი. „Times“ დეპეშით ატყობინებენ პეკინიდამ 3 აგვისტოს რიცხვით, რომ ოქმს, ცოტაოდენი ცვლილებით, ხელი მოაწერესო. ოქმის შესავსებად სამი ბრძანებაა კიდევ საჭირო: ერთი მანდარინების დასჯის შესახებ, მეორე ეგზამენების დროებით მოსპობისა და მესამე იარაღისა და სამხედრო მასალის შეტანის ორის წლით აღკრძალვის შესახებ.

კრადოკი. 31 ივლისის ბრძოლის შემდეგ პოლკოვნიკმა გარინჯმა კრუიცინგერს სდია და 100 ბურით ორანჟეს მდინარეს გაღმა განდევნა. გრააფრეინეტსა და ორანჟეს მდინარეს შუა კიდევ რამდენიმე მცირე რაზმია, მაგრამ ამ რაზმებსაც ინგლისელები სდევნიან.

ბელგრადი. გამოქვეყნებულ იქმნა ბრძანება პოლკოვნიკის მილკოვიჩის სამხედრო მინისტრად დანიშვნის შესახებ.

კოპენჰაგენი. კაპიტან სტოკენის ექსპედიციამ ფრანც-იოსების კუნძული გამოიკვლია და სანდეფიორდში მივიდა. აბრუციის ჰერცოგის სამი თანამგზავრის კვალს ექსპედიციამ სრულებით ვერ მიაგნო. ჰერცოგისაგან შეწირული ძეგლი ფლორას კონცხზე დადგეს.

5 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდი მთავარის ქსენია ალექსანდრეს ასულის ავადმყოფობის ბიულეტენი, 4 აგვისტოს: „დიდ-მთავრინას წუხელის კარგად ეძინა; თავს კარგადა ჰგრძნობს; ტემპერატურა დილას--36, 4, მაჯა—64; საღამოს ტემპერატურა—36,7, მაჯა—62. ახლად დაბადებული მთავარი დიმიტრი ალექსანდრეს-ძე კარგად არის“.

ლონდონი. სეფე სიტყვაში, რომლითაც დღეს დაიხურა პარლამენტი, ნათქვამია, რომ ინგლისისა და დანარჩენ სახელმწიფოთა შორის, ისევ გულითადი განწყობილებააო. შემდეგ გამოცხადებულია სიხარული იმის გამო, რომ ჩინეთის შესახებ მოხდა საერთო შეთანხმება, რომელსაც შემდეგ ჩინეთიც მიემხრო. ნათქვამია მერე, რომ ინგლისის მხედრობა განუწყვეტლივ იმარჯვებს სამხრეთ-აფრიკაში, მაგრამ ომი გრძელდება, რადგანაც დიდ მანძილზე სწარმოებსო. იორკისა და კორნვალის ჰერცოგისა და ჰერცოგინას მისვლას ახალშენებში კარგი შემდეგი მოჰყვა, რამაც მეფე ძალიან გაახარა. ტახტის მემკვიდრეს და მის მეუღლეს იქ ალტაცებით მიეგებნენ, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ახალშენების ერთგულებასა და პატრიოტიზმს ინგლისის მიმართ. სეფე სიტყვაში, დასასრულ, ორსავე პალატას მადლობა გამოეცხადა მხედრობისა და ფლოტისათვის ფულის გადადების გამო.

6 აგვისტო.

ერევანი. მკა ყველგან დასრულდა. მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა; მოსავალი ძალიან კარგია, განსაკუთრებით გაზაფხულის ნათესობისა, ღვინის მოსავალსაც კარგს მოელიან.

პარიჟი. ველოსიპედთა შეჯიბრება პარიჟსა და ბრესტს შუა პარასკევს დაიწყო, დილის 5 საათზედ. პირველი მოვიდა გარენი, რომელმაც 1200 კილომეტრი 52 საათსა და 11 წუთს გაიარა.

პარიჟი. Pcho de Earis-ის“ თანამშრომელთან ლაპარაკის დროს გრაფ ვალდერზეეს ხელ-ახლა შეუქია საფრანგეთის ჯარი და უთქვამს, არა მჯერა, რომ საფრანგეთსა და გერმანიის შორის. ომი მოხდესო.

სოფია. ამ ბოლო დროს კიდევ მოხდა შეტაკება ოსმალეთისა და ბოლგარიის მოსაზღვრე სადარაჯო რაზმებს შორის, „ბოლგარიის სააგენტოს სიტყვით, ოსმალებს, რომელთაც პირველად დაიწყეს სროლა, მოუკლეს 4 კაცი და 5 დაუჭრეს. იმავე სააგენტოს სიტყვით, ბოლგარიის მთავრობა მხნედ შეუდგა მოქმედებას კონსტანტინეპოლში.

კონსტანტინეპოლი. რადგანაც ეს თორმეტი დღეა შავის ჭირით აღარავინ გამხდარა ავად, სასანიტარო საბჭომ დღეს გააუქმა 20 ივლისის ბრძანება იმ გემების გასინჯვისა და დიზინფექციის შესახებ, რომელნიც აქედგან გადიან.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილიq 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

ფოთის საბუჰგალტერო
კურსები
კ. გიგინეიშვილისა.
თხოვნის შეტანა შეიძლება ყოველ დღე. პროგრამები გაეგზავნება მსურველს უფასოდ. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან.
(8—6.—8)

ექიმი
პ. ი. ბძელიშვილი
გადავიდა
ელისაბედის ქუჩაზედ, № 15 (თავ. ვარანცოვის ძეგლის მახლობლად).
(5—6.—4)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა.
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-ს
სასწავლებლებისათვის.
ოლღას ქუჩა (Ольгинская), № 1
(10—35—6)

ქართულის დრამატიულის საზოგ
დოების გამგეობა იწვევს მსუ
ველთ (ქალებსა და ვაჟებს)
სცენაზედ
სამსახურისათვი
(მსახიობებად).
მსურველნი მიჰმართავენ საზოგ
დოების კანტორაში (სათავად-აზნ
ურო ქარვასლაში, თეატრის გვე
დზედ) ყოველ-დღე, დილის 10 ს
თიდგან ნაშუადღევის პირველ ს
თამდე. (5—6.—5)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილ
იღებს ავადმყოფებს დილით-
12—1, საღამოთი 6—7. ყორ
ნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება
სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-- во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—80)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერც
განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მ
მზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნე

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 ს
მოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერც
ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტ
ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკ
მერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,
მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурно
почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მი
ბა დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თ
თმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში,
ხლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტო
ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღ
მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტ
რაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართ
კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—1

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118, რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.